1961/2

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს

უწყებები

№ 27 (150) 30 სექტემბერი 1961 წელი

შ ი ნ ა ა რ ს ი

სსრ კავშირის კანონები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილებები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები და დადგენილებები

განყოფილება პირველი

425. ხელშეკრულება მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების შესახებ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის.
426. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ჰიპოფიზარული ნანიზმით დაავადებულ მოქალაქეთა (ლილიპუტების) მატერიალური უზრუნველყოფის გაუმჯობესების შესახებ.
427. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ერაყის რესპუბლიკაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად მ. დ. იაკოვლევის დანიშვნის შესახებ.
428. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ერაყის რესპუბლიკაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მოვალეობისაგან გ. ტ. ზაიცევის გათავისუფლების შესახებ.

განყოფილება მეორე

429. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სს რესპუბლიკაში მტკოვრები მრავალშვილიანი დედებისათვის „გმირი დედის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

განყოფილება მესამე

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ლ. ი. ბრეჟნევს რწმუნებ[illegible]ბის სიგელები გადასცა ნორვეგიის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ფ. [illegible] კობსენმა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში.

[illegible] სსრ [illegible]

სსრ კავშირის კანონები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილებები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები და დადგენილებები

ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილება პირველი

ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა

425 მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების შესახებ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და კორეის სახალხო-დემოკრატიულ სახალხო კრებას შორის

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი სახალხო კრების პრეზიდიუმმა,

ისწრაფვიან რა განავითარონ და განამტკიცონ მეგობრული ურთიერთობა საბჭოთა კავშირსა და კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის, რომელიც ემყარება სოციალისტური ინტერნაციონალიზმის პრინციპს,

სურთ რა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიზნებისა და პრინციპების შესაბამისად ხელი შეუწყონ მშვიდობისა და უშიშროების დაცვას და განმტკიცებას შორეულ აღმოსავლეთში და მთელ მსოფლიოში,

მტკიცედ გადაწყვიტეს რა მხარი დაუჭირონ და დაეხმარონ ერთმანეთს ხელშეკრულების დამდებ ერთ-ერთ მხარეზე რომელიმე სახელმწიფოს ან სახელმწიფოთა კოალიციის შეიარაღებული თავდასხმის შემთხვევაში,

დარწმუნებულნი იმაში, რომ საბჭოთა კავშირსა და კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის მეგობრობის, კეთილი მეზობლობისა და თანამშრომლობის განმტკიცება შეესაბამება ორივე სახელმწიფოს ხალხთა სასიცოცხლო ინტერესებს და კიდევ უფრო შეუწყობს ხელს მათ ეკონომიურ და კულტურულ განვითარებას,

გადაწყვიტეს ამ მიზნით დადონ ეს ხელშეკრულება და თავიანთ რწმუნებულებად დანიშნეს:

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა — ნიკიტა სერგის ძე **ხრუშჩოვი**, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე;

კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი სახალხო კრების პრეზიდიუმმა — **კიმ ირ სენი**, კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარე.

ორივე სრულუფლებიანი წარმომადგენელი თავიანთ რწმუნებათა გაცვლის შემდეგ, რაც ჯეროვან ფორმაში და სათანადო წესრიგზე აღმოჩნდა, შეთანხმდნენ ქვემომოყვანილზე:

მუხლი 1

ხელშეკრულების დამდები მხარეები აცხადებენ, რომ ისინი კვლავაც მიიღებენ მონაწილეობას ყველა საერთაშორისო საქმიანობაში, რომელიც მიზ-

ნად ისახავს მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფას შორეულ აღმოსავლეთში და მთელ მსოფლიოში, და თავიანთ წვლილს შეიტანენ ამ დიდი ამოცანების განხორციელების საქმეში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების დამდებ ერთ-ერთ მხარეზე რომელიმე სახელმწიფო ან სახელმწიფოთა კოალიცია მოახდენს შეიარაღებულ თავდასხმას და ამგვარად იგი აღმოჩნდება საომარ მდგომარეობაში, მაშინ ხელშეკრულების დამდები მეორე მხარე დაუყოვნებლივ გაუწევს მას სამხედრო ან სხვაგვარ დახმარებას მის განკარგულებაში მყოფი ყველა საშუალებით.

მუხლი 2

ხელშეკრულების დამდები თითოეული მხარე ვალდებულებას კისრულობს არ დადოს რაიმე კავშირი და მონაწილეობა არ მიიღოს რომელიმე კოალიციაში, აგრეთვე ისეთ საქმიანობაში ან ღონისძიებებში, რომლებიც მიმართულია ხელშეკრულების დამდები მეორე მხარის წინააღმდეგ.

მუხლი 3

ხელშეკრულების დამდები მხარეები ურთიერთშორის მოაწყობენ კონსულტაციებს ყველა მნიშვნელოვან საერთაშორისო საკითხებზე, რომლებიც ეხება ორივე სახელმწიფოს ინტერესებს, იხელმძღვანელებენ რა მშვიდობისა და საყოველთაო უშიშროების განმტკიცებისათვის ხელის შეწყობის მისწრაფებით.

მუხლი 4

ხელშეკრულების დამდები ორივე მხარე კისრულობს თანასწორუფლებიანობის, აგრეთვე სახელმწიფო სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის ურთიერთ პატივისცემისა და ერთმანეთის საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპების შესაბამისად მეგობრობისა და თანამშრომლობის სულისკვეთებით განავითარონ და განამტკიცონ ეკონომიური და კულტურული ურთიერთობანი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის, გაუწიონ ერთმანეთს ყოველგვარი შესაძლო დახმარება და განახორციელონ საჭირო თანამშრომლობა ეკონომიკისა და კულტურის დარგში.

მუხლი 5

ხელშეკრულების დამდები ორივე მხარე თვლის, რომ კორეის გაერთიანება უნდა მოხდეს მშვიდობიან და დემოკრატიულ საფუძველზე და რომ ასეთი გადაწყვეტილება შეესაბამება კორეელი ხალხის როგორც ეროვნულ ინტერესებს, ასევე შორეულ აღმოსავლეთში მშვიდობის შენარჩუნების საქმეს.

მუხლი 6

ხელშეკრულება ძალაში შედის სარატიფიკაციო სიგელების გაცვლის დღიდან, რაც მოხდება ქალაქ ფხენიანში.

ხელშეკრულება ძალაში დარჩება 10 წლის განმავლობაში. თუ ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარე ვადის გასვლამდე ერთი წლით ადრე, ეცნობება განაცხადებს ხელშეკრულების დენონსაციის შესახებ, მაშინ იგი ძალაში დარჩება შემდგომი 5 წლის განმავლობაში და ვადა გაუგრძელდება ამ წესის შესაბამისად.

დადებულია ქალაქ მოსკოვში 1961 წლის 6 ივლისს ორ ეგზემპლარად, თითოეული რუსულ და კორეულ ენებზე, ამასთან ორივე ტექსტს თანაბარი ძალა აქვს.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის რწმუნებით	**კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი სახალხო კრების რწმუნებით**
ნ. ხრუშჩოვი.	**კიმ ირ სენი.**

* * *

რატიფიცირებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ 1961 წლის 31 აგვისტოს; კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი სახალხო კრების პრეზიდიუმის მიერ — 1961 წლის 23 აგვისტოს.

სარატიფიკაციო სიგელების გაცვლა მოხდა ქალაქ ფხენიანში 1961 წლის 10 სექტემბერს.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

426 ჰიპოფიზარული ნანიზმით დაავადებულ მოქალაქეთა (ლილიპუტების) მატერიალური უზრუნველყოფის გაუმჯობესების შესახებ

ჰიპოფიზარული ნანიზმით დაავადებულ მოქალაქეთა (ლილიპუტების) მატერიალური უზრუნველყოფის გაუმჯობესების მიზნით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დადგინდეს, რომ ჰიპოფიზარული ნანიზმით დაავადებულ მუშებს და მოსამსახურეებს (ლილიპუტებს) უფლება აქვთ მოხუცებულობით პენსიაზე: მამაკაცებს — რომელთაც შეუსრულდათ 45 წელი და აქვთ არა ნაკლებ 20 წლის მუშაობის სტაჟი; ქალებს — რომელთაც შეუსრულდათ 40 წელი და აქვთ არა ნაკლებ 15 წლის მუშაობის სტაჟი.

ამის შესაბამისად „სახელმწიფო პენსიების შესახებ“ სსრ კავშირის 1956 წლის 14 ივლისის კანონის II მუხლს დაემატოს მეორე ნაწილი შემდეგი შინაარსით:

„ჰიპოფიზარული ნანიზმით დაავადებულ მუშებს და მოსამსახურეებს (ლილიპუტებს) უფლება აქვთ მოხუცებულობით პენსიაზე: მამაკაცებს—რომელთაც შეუსრულდათ 45 წელი და აქვთ არა ნაკლებ 20 წლის მუშაობის სტა-

ჟი; ქალებს — რომელთაც შეუსრულდათ 40 წელი და აქვთ არა ნაკლები 15 წლის მუშაობის სტაჟი".

2. გაუქმდეს გადასახადის გადახდევინება ჰიპოფიზარულ ნანიზმით დაავადებულ უცოლშვილო, მარტოხელა და მცირერიცხოვანი ოჯახის პატრონ სსრ კავშირის მოქალაქეებზე (ლილიპუტებზე).

3. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ ამ ბრძანებულებიდან გამომდინარე ცვლილებები შეიტანოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 4 აგვისტოს № 1044 დადგენილებით დამტკიცებულ დებულებაში სახელმწიფო პენსიების დანიშვნის და გაცემის წესის შესახებ.

4. ეს ბრძანებულება სამოქმედოდ შემოღებულ იქნას 1961 წლის 1 ივლისიდან.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1961 წლის 25 სექტემბერი.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

427 ერაყის რესპუბლიკაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად მ. დ. იაკოვლევის დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს მიხეილ დანილის ძე **იაკოვლევი** სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად ერაყის რესპუბლიკაში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1961 წლის 25 სექტემბერი.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

428 ერაყის რესპუბლიკაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მოვალეობისაგან გ. ტ. ზაიცევის გათავისუფლების შესახებ

გათავისუფლდეს გრიგოლ ტიტეს ძე **ზაიცევი** ერაყის რესპუბლიკაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1961 წლის 25 სექტემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

429 საქართველოს სს რესპუბლიკაში მცხოვრები მრავალშვილიანი დედებისათვის „გმირი დედის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

მიენიჭოთ **„გმირი დედის“** საპატიო წოდება და გადაეცეთ **„გმირი დედის“** ორდენი და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელები დედებს, რომლებმაც შობეს და აღზარდეს ათი შვილი:

1. გულფიდე ხარუნის ასულ **გოგიძეს** — კოლმეურნეს, აჭარის ასსრ ქედის რაიონის სოფელი დოლოგანი.
2. შადიე დურსუნის ასულ **დუმბაძეს** — კალინინის სახელობის კოლმეურნეობის წევრს, აჭარის ასსრ ბათუმის რაიონი.
3. ალექსანდრა გუჯუს ასულ **ქარდავას** — კიროვის სახელობის კოლმეურნეობის წევრს, აფხაზეთის ასსრ გალის რაიონი.
4. მარიამ დიგოს ასულ **ფსარდიას** — სუვოროვის სახელობის კოლმეურნეობის წევრს, აფხაზეთის ასსრ ოჩამჩირის რაიონი.
5. ხატიჯე ჰასანის ასულ **ცინცაძეს** — კოლმეურნეს, აჭარის ასსრ ბათუმის რაიონის სოფელი ხელვაჩაური.
6. ვესილე ჰუსეინის ასულ **შოთაძეს** — კალინინის სახელობის კოლმეურნეობის წევრს, აჭარის ასსრ ბათუმის რაიონი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1961 წლის 27 სექტემბერი.

განყოფილება მესამე

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ლ. ი. ბრეჟნევს რწმუნებების სიგელები გადასცა ნორვეგიის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ფ. ხ. იაკობსენმა

ა/წ 13 სექტემბერს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა მიიღო კრემლში ნორვეგიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ფრიტიოფ ხ. იაკობსენი, რომელმაც გადასცა თავისი რწმუნების სიგელები.

ელჩს ახლდნენ საელჩოს მრჩევლები ს. ეკელანდი, პ. გრავერი, პირველი მდივნები გ. კრანე, ტ. პ. სვენვეიგი, მდივნები — არქივისტები ი. ხუსე, კ. ფრამსტადი, რომლებიც ელჩმა ლ. ი. ბრეჟნევს წარუდგინა.

რწმუნების სიგელების გადაცემას ესწრებოდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი ა. ა. ანდრეევი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ა. ლ. ორლოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრე-

ზიდიუმის საერთაშორისო ურთიერთობის განყოფილების გამგე ვ. ვ. ვასოტინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს სკანდინავური ქვეყნების განყოფილების გამგე ნ. მ. ლუნკოვი და სხვა.

ფ. ხ. იაკობსენმა და ლ. ი. ბრეჟნევმა სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს.

რწმუნების სიგელების გადაცემის შემდეგ ლ. ი. ბრეჟნევს საუბარი ჰქონდა ფ. ხ. იაკობსენთან. საუბარს ესწრებოდნენ ა. ა. ანდრეევი და ა. ლ. ორლოვი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

სპეციალისტთა მომზადებისა და მეცნიერების განვითარებაში დიდი დამსახურებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1961 წლის 15 სექტემბრის ბრძანებულებით სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დააჯილდოვა უმაღლესი სკოლების 5957 მუშაკი.

ლენინის ორდენით დაჯილდოებულია 385 კაცი, **შრომის წითელი დროშის** ორდენით 879, **„საპატიო ნიშნის“** ორდენით 1718, მედლით **„შრომითი მამაცობისათვის“** 1734 და მედლით **„შრომითი წარჩინებისათვის“** 1241 კაცი.

მათ შორის საქართველოს სს რესპუბლიკაში დაჯილდოებულია:

ლენინის ორდენით

1. ლევან გრიგოლის ძე **აბელიშვილი** — პროფესორი, ვ. ი. ლენინის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კათედრის გამგე.

2. იოსებ მოსეს ძე **ბუაჩიძე** — პროფესორი, ვ. ი. ლენინის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორი.

3. ალექსანდრე კონსტანტინეს ძე **ვაჩეიშვილი** —პროფესორი, ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კათედრის გამგე.

4. ნიკოლოზ ვასილის ძე **გაბაშვილი** — პროფესორი, ვ. ი. ლენინის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კათედრის გამგე.

5. არჩილ ალექსის ძე **გულისაშვილი** — პროფესორი, ვ. ი. ლენინის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კათედრის გამგე.

6. იასონ პავლეს ძე **მოსეშვილი** — პროფესორი, ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კათედრის გამგე.

7. მიხეილ ზოსიმეს ძე **ნოდია** — პროფესორი, ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კათედრის გამგე.

8. ივანე ფაუსტის ძე **სარიშვილი** — პროფესორი, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის რექტორი.

9. ევგენი კირილეს ძე **ხარაძე** — პროფესორი, ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი.

10. გიორგი სევერიანეს ძე **ჭოლოშვილი** — პროფესორი, ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კათედრის გამგე.

შრომის წითელი დროშის ორდენით

1. კონსტანტინე სპირიდონის ძე **ბაქრაძე** — პროფესორი, ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კათედრის გამგე.

2. ნიკანდრო ერასტის ძე **ბასილაია** — დოცენტი, ა. მ. გორკის სახელობის სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის კათედრის გამგე.

3. პეტრე გიგოს ძე **ბუაჩიძე** — პროფესორი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის კათედრის გამგე.

4. ისიდორე მოსეს ძე **გაგუა** — დოცენტი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის კათედრის გამგე.

5. დიმიტრი მიხეილის ძე **გედევანიშვილი** — პროფესორი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის პრორექტორი.

6. ივანე ალექსის ძე **გიორგბერიძე** — დოცენტი, საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის რექტორი.

7. ალექსანდრე ანდრიას ძე **ღლონტი** — პროფესორი, ა. ს. პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის კათედრის გამგე.

8. სერგი მიხეილის ძე **ყღენტი** — პროფესორი, ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორი.

9. გიორგი იოსების ძე **ყანჩაველი** — პროფესორი, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის პრორექტორი.

10. ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე **ქოიავა** — პროფესორი, ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორი.

11. გიორგი ვასილის ძე **კოკოჩაშვილი** — დოცენტი, ა. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის კათედრის გამგე.

12. ნიკოლოზ კონსტანტინეს ძე **ლაჭყეპიანი** — პროფესორი, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის კათედრის გამგე.

13. ბორის ნესტორის ძე **ლეფავა** — დოცენტი, ვ. ი. ლენინის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კათედრის გამგე.

14. სერგი იოსების ძე **მაკალათია** — ნ. ბარათაშვილის სახელობის გორის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის პროფესორი.

15. ვლადიმერ გიორგის ძე **მამათელაშვილი** — დოცენტი, საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო სასწავლო-საკვლევი ინსტიტუტის რექტორი.

16. დიმიტრი სერგის ძე **მგელაძე** — დოცენტი, ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კათედრის გამგე.

17. ლეონ მელიქსეთის ძე **მელიქსეთ-ბეგი** — პროფესორი, ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კათედრის გამგე.

18. დომენტი მელიტონის ძე **მშვენიერაძე** — პროფესორი, ვ. ი. ლენინის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კათედრის გამგე.

19. უშანგი პლატონის ძე **ობოლაძე** — პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, თბილისის უცხო ენათა სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის კათედრის გამგე.

20. მიხეილ ისმაილის ძე **სტამბოლიშვილი** — დოცენტი, რუსთაველის სახელობის ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის კათედრის გამგე.

„საპატიო ნიშნის“ ორდენით

1. იასონ ლევანის ძე **აბაშიძე** — პროფესორი, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის კათედრის გამგე.

2. დავით ზაქარიას ძე **ავაზაშვილი** — პროფესორი, ვ. ი. ლენინის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კათედრის გამგე.

3. ოლღა კონსტანტინეს ასული **ბალიაშვილი** — დოცენტი, ა. ს. პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ფაკულტეტის დეკანი.

4. შოთა იოსების ძე **ბასილაია**—დოცენტი, ა. მ. გორკის სახელობის სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის პროორექტორი.

5. თენგიზ პავლეს ძე **ბუაჩიძე** — დოცენტი, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მეცნიერების, სკოლისა და კულტურის განყოფილების გამგე.

6. ბარბარე ონისიმეს ასული **ვარდოსანიძე** — დოცენტი, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის კათედრის გამგე.

7. გიორგი სიმონის ძე **გამხარაშვილი** — ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი.

8. აკაკი მელიტონის ძე **გახოკიძე** — პროფესორი, ა. ს. პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის კათედრის გამგე.

9. ისიდორე სილოვანის ძე **გვარჯალაძე** — თბილისის უცხო ენათა სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის პროფესორი.

10. ალექსანდრე ერასტის ძე **გვენცაძე** — დოცენტი, ი. გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ფაკულტეტის დეკანი.

11. დავით მიხეილის ძე **გელოვანი** — პროფესორი, საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო სასწავლო-საკვლევი ინსტიტუტის კათედრის გამგე.

12. ირაკლი არჩილის ძე **გიორგაძე** — დოცენტი, საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო სასწავლო-საკვლევი ინსტიტუტის კათედრის გამგე.

13. მიხეილ ანთიმოზის ძე **გიორგაძე** — დოცენტი, საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის კათედრის გამგე.

14. ვლადიმერ მიხეილის ძე **გურგენიძე** — პროფესორი, ვ. ი. ლენინის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კათედრის გამგე.

15. ქეთევან სამსონის ასული **ძოწენიძე** — დოცენტი, ა. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის კათედრის გამგე.

16. შოთა სტეფანეს ძე **ქემხაძე** — დოცენტი, რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის კათედრის გამგე.

17. ზაქარია სამსონის ძე **კიკნაძე** — ნ. ბარათაშვილის სახელობის გორის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის დოცენტი.

18. ვახტანგ ალექსანდრეს ძე **ქოჩორაძე** — ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, თბილისის უცხო ენათა სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

19. ელენე ალექსანდრეს ასული **ქუთათელაძე** — პროფესორი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის კათედრის გამგე.

20. ანგელინა ივანეს ასული **ლოზოვაია** — თბილისის უცხო ენათა სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის უფროსი მასწავლებელი.

21. ალექსანდრე კონსტანტინეს ძე **მაყაშვილი** — დოცენტი, ა. ს. პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის კათედრის გამგე.

22. ვაგან ივანეს ძე **მამასახლისოვი** — პროფესორი, ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კათედრის გამგე.

23. აფინოგენ ჯამულეთის ძე **მენაღარიშვილი** — საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის პროფესორი.

24. იასონ გიორგის ძე **მეცხვარიშვილი** — დოცენტი, ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის კათედრის გამგე.

25. გიორგი ნოეს ძე **მხეიძე** — დოცენტი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის კათედრის გამგე.

26. ეგნატე კალისტრატეს ძე **ფიფია** — პროფესორი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის კათედრის გამგე.

27. ბორის ზაქარიას ძე **ფურცხვანიძე** — ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი.

28. იოსებ ალექსანდრეს ძე **საღინაძე** — დოცენტი, ა. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის კათედრის გამგე.

29. ნიკოლოზ არტემის ძე **თევზაძე** — დოცენტი, ვ. ი. ლენინის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კათედრის გამგე.

30. ნიკოლოზ მარკოზის ძე **ტყემალაძე** — დოცენტი, ვ. ი. ლენინის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის პრორექტორი.

31. ალექსი დიმიტრის ძე **უსტიაშვილი** — პროფესორი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის კათედრის გამგე.

32. იასონ გიორგის ძე **ხუციშვილი** — ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.

33. ნინო სოლომონის ასული **ციციშვილი** — ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.

34. ზელიმხან პავლეს ძე **ცხოვრებოვი** — ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატი, სტალინირის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორი.

35. თამარ იოსების ასული **ჩარექიშვილი** — ვ. სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის კათედრის გამგე.

36. ნიკოლოზ ერმილეს ძე **ჭახრაკია** — ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე.

37. შალვა ერმილეს ძე **ჩხარტიშვილი** — პროფესორი, საქართველოს ზოოტექნიკურ-ვეტერინარო სასწავლო-საკვლევი ინსტიტუტის პრორექტორი.

38. დიმიტრი იოსების ძე **ერისთავი** — პროფესორი, ვ. ი. ლენინის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის პრორექტორი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მედლით „შრომითი მამაცობისათვის“

1. ხაზარათ შაჰანის ძე **არღუნი** — დოცენტი, ა. მ. გორკის სახელობის სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის კათედრის გამგე.

2. სოფიო გიორგის ასული **ბეკოევა** — სტალინირის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის დოცენტი.

3. ვალერიან არქიფოს ძე **ბრეგვაძე** — საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის დოცენტი.

4. ალექსანდრე სარდიონის ძე **გიორხელიძე** — საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მეცნიერების, სკოლისა და კულტურის განყოფილების გამგის მოადგილე.

5. ლევ ვასილის ძე **გოლოვნია** — დოცენტი, საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის კათედრის გამგე.

6. შოთა კონსტანტინეს ძე **გოცირიძე** — დოცენტი, საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის კათედრის გამგე.

7. ტატიანა დიმიტრის ასული **გულია** — ა. მ. გორკის სახელობის სოხუმის ინსტიტუტის უფროსი მასწავლებელ.

8. გიორგი დიანოზის ძე **ჭიოევი** — დოცენტი, სტალინირის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის კათედრის გამგე.

9. ალექსანდრე სერგის ძე **ზედგინიძე** — დოცენტი, ვ. ი. ლენინის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კათედრის გამგე.

10. მარიამ დავითის ასული **ჟორჟიკაშვილი** — ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტიული კომიტეტის მდივანი.

11. ილია სიმონის ძე **ყაჭიური** — დოცენტი, ი. გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის პროორექტორი.

12. გიორგი ნიკოლოზის ძე **ქარცივაძე** — დოცენტი, ვ. ი. ლენინის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კათედრის გამგე.

13. შალვა იასონის ძე **კერესელიძე** — დოცენტი, საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის პროორექტორი.

14. პიმენ ალექსანდრეს ძე **ყურაშვილი** — დოცენტი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის პროორექტორი.

15. აპოლონ ყარამანის ძე **ქუთათელაძე** — პროფესორი, თბილისის სამხატვრო აკადემიის რექტორი.

16. ვლადიმერ გიორგის ძე **მაჭავარიანი** — თბილისის უცხო ენათა სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის დოცენტი.

17. ნიკოლოზ ონისიმეს ძე **მელითაური** — დოცენტი, საქართველოს ზოოტექნიკურ-საველეტერინარო სასწავლო-საკვლევი ინსტიტუტის ფაკულტეტის დეკანი.

18. კონსტანტინე ნესტორის ძე **მეძველია** — ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ა. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის კათედრის გამგე.

19. გრიგოლ კაპიტონის ძე **მეუნარგია** — საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის უფროსი მასწავლებელი.

20. ალექსანდრე ნესტორის ძე **ნარჩომაშვილი** — საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დოცენტი.

21. ირაკლი ნიკოლოზის ძე **ნემსაძე** — ნ. ბარათაშვილის სახელობის გორის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის უფროსი მასწავლებელი.

22. აკაკი ნესტორის ძე **ფალავა** — პროფესორი, რუსთაველის სახელობის თბილისის თეატრალური ინსტიტუტის კათედრის გამგე.

23. ალექსანდრე გიორგის ძე **ფალავანდიშვილი** — საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის რექტორი.

24. გრიგოლ ზოსიმეს ძე **პაპავა** — ი. გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის უფროსი მასწავლებელი.

25. ალექსანდრე იოსების ძე **ფიცხელაური** — დოცენტი, თბილისის სამხატვრო აკადემიის კათედრის გამგე.

26. შოთა მიხეილის ძე **რაზმაძე** — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე.

27. ნოდარ ნოეს ძე **რამიშვილი** — საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის პარტიული კომიტეტის მდივანი.

28. სეით ალექსანდრეს ძე **სიმონგულოვი** — დოცენტი, ვ. ი. ლენინის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კათედრის გამგე.

29. გიორგი მიხეილის ძე **სეხნიაშვილი** — ვ. ი. ლენინის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის დოცენტი.

30. მიხეილ ვლადიმერის ძე **ტაბლიაშვილი** — დოცენტი, საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის კათედრის გამგე.

31. იონა ირაკლის ძე **ტუსკია** — პროფესორი, ვ. სარაჯიშვილის სახელობის საქართველოს სახელმწიფო კონსერვატორიის რექტორი.

32. გრიგოლ იაკობის ძე **ხაჟალია** — დოცენტი, ა. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის კათედრის გამგე.

33. ჰუსეინ თევრათის ძე **ხალვაში** — დოცენტი, რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის კათედრის გამგე.

34. შოთა მიხეილის ძე **ხატიაშვილი** — საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დოცენტი.

35. ვახტანგ ნიკოლოზის ძე **ხუროშვილი** — ვ. ი. ლენინის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის პარტიული კომიტეტის მდივანი.

36. ვლადიმერ დიმიტრის ძე **ჭანტურია** — დოცენტი, რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის კათედრის გამგე.

37. მიხეილ ნიკოლოზის ძე **ჩიკვაიძე** — ნ. ბარათაშვილის სახელობის გორის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის უფროსი მასწავლებელი.

38. ირაკლი გიორგის ძე **შენგელია** — დოცენტი, თბილისის უცხო ენათა სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ფაკულტეტის დეკანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. ირაკლი გიორგის ძე **ბერიძე** — დოცენტი, ვ. სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის პროორექტორი.

2. სერგი აპოლონის ძე **ბოკუჩავა** — დოცენტი, ვ. სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის კათედრის გამგე.

3. ალექსი მოსეს ძე **ბუჩუკური** — დოცენტი, საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო სასწავლო-საკვლევი ინსტიტუტის კათედრის გამგე.

4. ალექსანდრე ალექსის ძე **ვერულია** — დოცენტი, თბილისის უცხო ენათა სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის კათედრის გამგე.

5. ილია ედუარდის ძე **გასიევი** — სტალინირის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის უფროსი მასწავლებელი.

6. პავლე სერგის ძე **გვარამაძე** — საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დოცენტი.

7. შოთა ანტონის ძე **გოგიაშვილი** — ი. გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის უფროსი მასწავლებელი.

8. კონსტანტინე ალმასხანის ძე **გუგუშვილი** — ნ. ბარათაშვილის სახელობის გორის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის დოცენტი.

9. დიმიტრი სევასტის ძე **ჯანელიძე** — რუსთაველის სახელობის საქართველოს სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის დოცენტი.

10. ნიკოლოზ დავითის ძე **ქადაგიძე** — დოცენტი, ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კათედრის გამგე.

11. ივანე დიმიტრის ძე **კვაჭაძე** — დოცენტი, ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კათედრის გამგე.

12. აკაკი საჰინოს ძე **კერესელიძე** — დოცენტი, საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის კათედრის გამგე.

13. ალექსანდრე ექვთიმეს ძე **კიკნაძე** — რუსთაველის სახელობის თბილისის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის სასწავლო ნაწილის გამგე.

14. ბიძინა მიხეილის ძე **ქიქოძე** — ა. ს. პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის დოცენტი.

15. შალვა სიმონის ძე **კილაძე** — საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის უფროსი მასწავლებელი.

16. შალვა პავლეს ძე **ლომინაძე** — დოცენტი, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის კათედრის გამგე.

17. აბესალომ ანტონის ძე **მიქაძე** — ა. ს. პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის დოცენტი.

18. რაფიელ რაჟდენის ძე **მელაძე** — დოცენტი, ვ. ი. ლენინის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კათედრის გამგე.

19. მალიკო ნიკოლოზის ასული **მრევლიშვილი** — რუსთაველის სახელობის საქართველოს სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის დოცენტი.

20. ვლადიმერ ივანეს ძე **ნარსია** — დოცენტი, ა. მ. გორკის სახელობის სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის კათედრის გამგე.

21. გიორგი გრიგოლის ძე **ფეიქრიშვილი** — დოცენტი, საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო სასწავლო-საკვლევი ინსტიტუტის ფაკულტეტის დეკანი.

22. ვლადიმერ არჩილის ძე **სულავა** — ა. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის დოცენტი.

23. არჩილ დავითის ძე **თუხარელი** — თბილისის სამხატვრო აკადემიის ფაკულტეტის დეკანი.

24. ვასილ ლაზარეს ძე **ხმალაძე** — პროფესორი, ვ. სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის კათედრის გამგე.

25. არჩილ ნიკოლოზის ძე **წერეთელი** — საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის კათედრის გამგე.

26. დავით კონსტანტინეს ძე **წერეთელი** — თბილისის სამხატვრო აკადემიის დოცენტი.

27. დავით ნიკოლოზის ძე **ციციშვილი** — დოცენტი, თბილისის სამხატვრო აკადემიის კათედრის გამგე.

28. ნიკოლოზ გიორგის ძე **ცხაკაია** — დოცენტი, ვ. ი. ლენინის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კათედრის გამგე.

29. გიორგი ხოსოს ძე **ჩხაიძე** — უფროსი მასწავლებელი, რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის კათედრის გამგე.

30. ლეო ნიკოლოზის ძე **შიუკაშვილი** — პროფესორი, ვ. სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის კათედრის გამგე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 27 (150) 30 სექტემბერი 1961 წ.

სარედაქციო კოლეგია

გამომცემელი — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი

(ქართულ და რუსულ ენებზე)

რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 8, მთავრობის სახლი

ფასი 10 კაპ.

ВЕДОМОСТИ ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ СОВЕТСКОЙ СОЦИАЛИСТИЧЕСКОЙ РЕСПУБЛИКИ

№ 27 (150) 30 сентября 1961 г.

Редакционная коллегия

Издатель — Президиум Верховного Совета ГССР

(На грузинском и русском языках)

Адрес редакции: Тбилиси, проспект Руставели, 8, Дом Правительства

ЦЕНА 10 КОП.

შეკვეთა № 682 ტირ. 1500

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის სტამბა

Типография Управления делами Совета Министров Грузинской ССР